

# საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი

## GEORGIAN ELECTRICITY MARKET MODEL

**ლანა სულაკაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველო, თბილისი

**LANA SULAKADZE**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Business Administration PHD Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission Georgia, Tbilisi

### ანოტაცია

ენერგო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს მიერ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღება მოიცავს სხვადასხვა სფეროში, მ.შ. ენერჯეტიკის სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას და მათ ევროპულ საკანონმდებლო ბაზასთან ჰარმონიზაციას. ამიტომაც ელექტროენერგეტიკული სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას და ვინაიდან დღეს არსებულმა ბაზრის მოდელმა თავი ამოწურა, ცვლილებების აუცილებლობა გარდაუვალი გახდა.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად, აუცილებელია ბაზარზე რომელიმე კომპანიის დომინირება სრულად გამოირიცხოს.

ბაზრის მოდელის შეცვლისთვის არსებული პრობლემების დასარეგულირებლად და კონკურენტულ მოდელზე გადასვლისთვის აუცილებელია: კანონის ფარგლებში გაინეროს დარგის რესტრუქტურის ვადები და პირობები; დადგინდეს ისეთი ნორმატივები, რომლებიც გააადვილებენ ბაზარზე შეღწევას და ალტერნატიული ელექტროენერჯის მიმწოდებლების დამკვიდრებას; სასურველია შეიქმნას დამოუკიდებელი ოპერატორი და დაინერგოს კონკურენცია საცალო ბაზარზე.

**საკანძო სიტყვები:** ელექტროენერგეტიკული სექტორი, ელექტროენერგეტიკული ბაზარი, ბაზრის მოდელი, ბაზრის მონაწილეები.

### ABSTRACT

The energy sector is the most prioritized one in the economic field. The associated agreement's (between Georgia and European Union) obligations contain important changes in different areas, especially in the energy sector and needs to be harmonized with European legal bases. Therefore, nowadays electricity sector has many challenges.

To create competitive electricity market in Georgia, we must prevent any company having dominant influence on market. To modify the electricity market model into competitive market model it is necessary to create: Deadlines and conditions of energy sector's restructuration in the law; The regulations for easier access on the market and the alternative electricity suppliers; Developing an independent market operator and implementing competition on the retail market.

**Key Words:** energy sector, energy market, market model, market participants.

დღეს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორი მრავალი გამოწვევისა და საინტერესო მოვლენის წინაშე დგას. ქვეყანაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ბაზრის მოდელის სრულყოფისკენ. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის კვლევისას ნათლად იკვეთება ის პრობლემები, რაც ხელს უშლის ბაზრის განვითარებას. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატი ყიდის ელექტროენერჯიას საცალო მომხმარებლებზე.

საქართველოში დღეს არსებული ელექტრო-ენერგეტიკულ ბაზრის მოდელს ახასიათებს რიგი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დადებით მხარეებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: სახელშეკრულებო შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფა, ენერგო სანარმოების პრივატიზაცია კერძო ინვესტიციების მოსაზიდად, ახალი ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობის შექმნა, მისაღები უკუგების ნორმა, ხოლო ნეგატიურ მხარეებად შესაძლოა ჩაითვალოს:

- ბაზრის გახსნის არასაკმარისი მოტივაცია;
- მიწოდების საქმიანობაში მონოპოლიური სიტუაცია;
- განაწილების ლიცენზიატი ბოროტად იყენებს საცალო ბაზარზე თავის მონოპოლიურ მდგომარეობას (ერთი მხრივ, ბუნებრივ მონოპოლიას განაწილებაში და მეორე მხრივ, ხელოვნური მონოპოლია მიწოდებაში);
- საბითუმო ბაზარზე არასაკმარისად კონკურენტული გარემო და ელექტროენერგიით ვაჭრობის თანამედროვე მექანიზმების და შესაბამისი სტრუქტურების არარსებობა.

თანამედროვე მსოფლიოში ელექტროენერგია აუცილებელი კომპონენტია, როგორც სანარმოების, ისე მოსახლეობის არსებობისთვის. მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამს ტარიფის ყოველგვარ ცვლილებას. სწორედ ამიტომ უნდა შემუშავდეს დარგში არსებული მდგომარეობის შესაბამისი მიდგომები და მეთოდები, რათა გათვალისწინებული იქნეს მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერესები. იმ ვეროპულმა ქვეყნებმა, რომლებმაც ვეროკომისიის მესამე დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნები შეასრულეს, აღნიშნავენ, რომ საწყის ეტაპზე კომპანიებს საოპერაციო დანახარჯები გაეზარდათ, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებით, მოახდინეს ხარჯების ოპტიმიზაცია.

ენერგეტიკის ბაზარმა საქართველოში განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება 1887 წელს დაიწყო, როცა ქართული დრამატული თეატრის გასანათებლად ქალაქ თბილისში თბური ძრავები დაყენდა. XX საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების ფართო მშენებლობა.

საქართველოში ელექტროენერგიაზე არსებულმა დიდმა დეფიციტმა, ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ზრდამ, ქართველ მეცნიერებსა და ინჟინრებს საშუალება მისცა უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, განეხორციელებინათ ისეთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტება და მშენებლობა, როგორცაა „ენგურჰესი“, რომელიც ექსპლუატაციაში 1978 წელს შევიდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ენერგო სექტორის რეაბილიტაციის მიზნით საქართველოში დაიწყო ენერგეტიკული სექტორის რეორგანიზაცია, რასაც მოჰყვა ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალკეულ დამოუკიდებელ სტრუქტურებად ჩამოყალიბება. [6].

აღნიშნული ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით, დღეს უკვე განსხვავებული მდგომარეობა და სუბიექტები არიან ბაზარზე.

ელექტროენერგეტიკული ბაზარი არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც ემყარება რეგულარულ გაცვლით ოპერაციებს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ბაზრის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობებია პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა თავისუფალი დაშვება და კონკურენციის არსებობა. [3. გვ., 21-25].

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურას, როგორც ყველა ქვეყნის ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურას, ისტორიულად ვერტიკალურად ინტეგრირებული სისტემის მართვის პრინციპი ახასიათებდა, სადაც ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების სეგმენტები სახელმწიფოს მფლობელობაში იყო. [2. გვ., 12-14].

ბაზრის რესტრუქტურირაცია 1994 წლიდან ეტაპობრივად განხორციელდა. 1997 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2000 წლიდან დაიწყო ენერგო სექტორის რეორგანიზაციის ახალი ეტაპი. 2006 წლიდან შეიქმნა ახალი საბაზრო სტრუქტურა „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“. სექტორის რეგულირების ისეთი ბერკეტები, როგორცაა ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცება, დერეგულირება, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცება და სხვა, გადატანილ იქნა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში.

ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოების ჰორიზონტალური დაყოფა კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რითაც შესაძლებელი გახდება ერთმანეთისგან გაიყოს კონკურენტული და მონოპოლიური საქმიანობის სფეროები, ბაზრის მოთამაშეები თანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ, ასევე ქსელურ ოპერატორებს სტიმული გაუჩნდეთ ქსელის განვითარებისთვის დამატებითი ინვესტიციები განახორციელონ. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. [4. გვ., 12].

სწორედ ჰორიზონტალურ დაყოფას და კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების ეტაპობრივ შემოღებას გაზრდილი სიმკაცრით ემსახურება ევროპის ენერგეტიკულ დირექტივათა პაკეტი. [5].

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტროენერგეტიკის სექტორში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი საქმიანობები: ელექტროენერჯის წარმოება, ელექტროენერჯის, ელექტროენერჯის დისპეტჩინგისა, ელექტროენერჯის განაწილება. [1. მუხლი 24].

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის სტრუქტურა, ბოლო სამი წლის განმავლობაში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საბითუმო და საცალო ბაზრებად.

**საბითუმო ბაზრის სუბიექტები** არიან ელექტროენერჯის მწარმოებლები, პირდაპირი მომხმარებლები, ექსპორტიორები, იმპორტიორები და განაწილების ლიცენზიატები (მიწოდების ნაწილში), ასევე მომსახურების მიმწოდებლები გადამცემი სისტემის ოპერატორი, ბაზრის ოპერატორი, გადამცემის ლიცენზიატები და განაწილების ლიცენზიატები (გატარების-საქსელო მომსახურების ნაწილში).

**საცალო ბაზრებზე მომსახურების გამწევი ძირითადი სუბიექტები** არიან ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები (ბაზარზე ელექტროენერჯის მიწოდების განხორციელება), საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები (საბოლოო მომხმარებლის სეგმენტი), რომელთაგან უნდა გამოიყოს ე.წ. „კვალ-იფიცირებული“ მომხმარებლები (ელექტროენერჯის შესყიდვისას თავად ირჩევენ მომწოდებელს

კონკურენტული ფასების საფუძველზე და არა ფიქსირებული სამომხმარებლო ტარიფით).

ელექტროენერჯის წარმოების საქმიანობას 2016 წლის საანგარიშო პერიოდში ახორციელებდნენ ელექტროენერჯის მწარმოებელი 77 სუბიექტი. ამავე წელს ელექტროენერჯის წარმოების საქმიანობაში ჩაერთო 5 ჰიდროელექტროსადგური (დარიალი, საგურამო, შაქშაქეთი, მაქსანაია და კაზრეთი ჰესი – ჯამში 116.7 მგვტ), 1 თბოსადგური (ტყიბული – 13.2 მგვტ) და 1 ქარის ელექტროსადგური (ქართლის ქარის ელექტროსადგური – 20.7 მგვტ).

ბაზარზე არის ნაწილობრივ დერეგულირებული და დერეგულირებული მიმართულებები, კერძოდ: პირველი გულისხმობს საქმიანობას კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიით და კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის ზედა ზღვარით (სეზონური სადგურები), ხოლო დერეგულირებულ სადგურებს მიეკუთვნება (საქმიანობენ ლიცენზიისგან გათავისუფლებულნი და თავისუფალი ტარიფებით) 13 მგვტ-ზე ნაკლები საპროექტო სიმძლავრის და 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ელექტროსადგურები. [1].

საქართველოში ბუნებრივ რესურსებს შორის პირველი ადგილი ჰიდრორესურსებს უჭირავს. ამიტომაც, ელექტროენერჯის უდიდესი წილი (80-90%) ჰიდროსადგურების მიერ არის გამოიშვავებული. ელექტროენერჯის იმპორტისა და ექსპორტის საქმიანობის განხორციელება შეუძლია კვალიფიციურ საწარმოდ დარეგისტრირებულ ნებისმიერ პირს. ელექტროენერჯის იმპორტიორად 2016 წელს საბითუმო ბაზარზე დარეგისტრირებული იყო 12 სუბიექტი. ელექტროენერჯის იმპორტი 2016 წელს წინა წელთან შედარებით 31.5%-ით ნაკლები განხორციელდა, ხოლო ექსპორტი (29 ექსპორტიორი) შემცირდა 15.3%-ით. [7].

ელექტროენერგეტიკული ბაზარი, ელექტროენერჯის საბოლოო მოხმარების კუთხით წარმოდგენილია პირდაპირი და საცალო მომხმარებლების სახით. რაც შეეხება საცალო მომხმარებელს, მათ არ აქვთ არჩევანის შესაძლებლობა (გარდა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურიდან პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული ელექტროენერჯია). გამანაწილებელი კომპანიების არეალში არსებული სამომხმარებლო ტარიფების სიდიდე (განსაკუთრებით 110–35 კვ და 10–6 კვ ძაბვის

საფეხურებზე) და ბაზარზე დარჩენილი თავისუფალი გენერაციის მაღალი ფასები, ხელს არ უწყობს ბაზრის გახსნას და მომხმარებლების გასვლას თავისუფალ ბაზარზე.


საცალო ბაზრის სუბიექტები არიან: ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „თელასი“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“.

გარკვეული ნაწილის მის აბონენტად რეგისტრაციიდან. გენერაციის სემენტი კი კონცენტრირებულია –  $HHI_{2015}=1,303$  და  $HHI_{2016}=1,222.8$ . [4. გვ., 13-15].

დიაგრამა №1 ასახავს ელექტროენერჯის განაწილების პროცენტულ მაჩვენებლებს წლების და წილების მიხედვით სამ გამანაწილებელ კომპანიას შორის.

დიაგრამა №1.


წილები ელექტროენერჯის განაწილებაში [7].



სს „თბილისი“ ოპერირებს ქ. თბილისისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ - კახეთის რეგიონში, ხოლო სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ზოგადად საქართველოს ელექტროენერჯის საცალო ბაზარი მაღალკონცენტრირებულია  $HHI_{2016} = 4900$ , ხოლო  $HHI_{2015} = 4958$ , სადაც ყველაზე დიდი საბაზრო წილი (60.2%) აქვს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“. ასეთი დიდი საბაზრო წილი გამოწვეულია, როგორც საქმიანობის მოცულობიდან და პირდაპირი მომხმარებლების

დიაგრამა 2 ასახავს გამანაწილებელი კომპანიების საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობებს 2016 წლის განმავლობაში. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მოხმარება გაზრდილია 29.35%-ით 2011 წელთან შედარებით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მოხმარება 2015 წელთან შედარებით 3.17%-ით გაიზარდა, რაც არასაყოფაცხოვრებო მოხმარების ზრდით იყო გამოწვეული. რაც შეეხება სს „თელასს“ 33%-ით გაიზარდა მისი მოხმარება 2011 წელთან და 13%-ით 2015 წელთან შედარებით.

ბაზანანილაპალი კომპანიების მოხმარება (მლნ.კვტ.სთ) 2016 წელს [7].



2015 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების ე.წ. ნეტო-ალრიცხვის პრაქტიკული დანერგვისა და სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის განვითარების კუთხით. 2015 წელს საცალო ბაზარზე იყო სულ 3 მომხმარებელი, ხოლო 2016 წელს - 8 (დადგმული სიმძლავრე - 153 კვტ). მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მქონე პირები თავისუფლდებიან საგადასახადო დაბეგვრისგან.

ბოლო პერიოდში ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე თავი იჩინა სხვადასხვა ნეგატიურმა მოვლენამ, კერძოდ, საცალო ბაზრის გახსნილობა არასაკმარისია, რაც აფერხებს კონკურენციის დონის ამაღლებას. ამ პროცესს აფერხებს მიწოდების საქმიანობისა და განაწილების საქმიანობის გაუმიჯნაობა. შესაბამისად, ჩნდება საფრთხე, რომ განაწილების ლიცენზიატებმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ საცალო ბაზარზე თავისი მონოპოლიური მდგომარეობა (ერთი მხრივ, ბუნებრივი მონოპოლია ქსელურ

საქმიანობაში და, მეორე მხრივ, ხელოვნური მონოპოლია მიწოდებაში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკლებად მიმზიდველია ახალი ინვესტიციების შემოღებისათვის და არსებობს რისკი მომხმარებელთა ინტერესების არასრულფასოვანი დაცვის შესახებ. აღნიშნული პრობლემატური საკითხების აღმოფხვრა ეტაპობრივად უნდა მოხდეს, კერძოდ: გადაცემის სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის ფორმირებით, ელექტროენერჯის განაწილებისადამიწოდების (ელექტროენერჯით ვაჭრობა) საქმიანობის გამიჯვნით, სხვადასხვა საქმიანობის იურიდიულ-ფუქციონალური (ევროკავშირის მე-2 პაკეტის შესაბამისად) და საკუთრებრივი დაყოფის (ევროკავშირის მე-3 პაკეტის შესაბამისად) განხორციელებით. [5].

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელისთვის არსებობს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

- მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილ იქნეს საყოფაცხ-

ოვრებო მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი რეგულირებადი ტარიფები საშუალოვადიანი პერიოდით;

- უზრუნველყოფილ იქნეს სამომხმარებლო ბაზრის პერმანენტული გახსნა და გენერაცია-მიწოდების სეგმენტში კონკურენციის განვითარება;
- გაიზარდოს სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა;
- გაიზარდოს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება;
- რაციონალურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ქვეყნის ენერგორესურსები;
- საკანონმდებლო ბაზა და ელექტროენერჯით ვაჭრობის მექანიზმები ჰარმონიზებული იქნეს ევროპარლამენტისა და ევროკომისიის პაკეტთან, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში სუფთა ენერჯის რეგიონალური პლატფორმის ჩამოყალიბებას და ევროპის ერთიან ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრაციას.

მე-20 საუკუნის ბოლო პერიოდამდე ელექტროენერგეტიკული სისტემები უმეტეს წილად სახელმწიფოს მმართველობაში იყო, რომელიც პასუხისმგებლობას იღებდა ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობასა და მის ხარისხზე. შემდგომ ეტაპებზე, კონკურენციის დანერგვის და ამ გზით სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით მოხდა სისტემის ნაწილების დენაციონალიზაცია და შესაბამისი ბაზრების ჩამოყალიბება.

ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს განაწილების სისტემის ოპერატორის საქმიანობის გამოყოფას მიწოდებისა და ელექტროენერჯის წარმოების საქმიანობიდან. მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები არ სრულდება გადაცემის სისტემის ოპერატორებისა და განაწილების სისტემის ოპერატორებთან მიმართებაში.

რთულია ცალსახად განვსაზღვროთ გადაცემის სისტემის ოპერატორების საჭირო რაოდენობა. თუ ევროპულ გამოცდილებას დავყვრდნობით, ამ შემთხვევაში გერმანიას, დიდ ბრიტანეთს და ავსტრიას ჰყავთ ერთზე მეტი გადაცემის ოპერატორი. ასევე დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე საოპერაციო დანახარჯების დაზოგვის მიზნით უნდა იყოს გადაცემის ერთი ოპერატორი, ხოლო გრძელ-

ვადიან პერიოდში შესაძლებელი იქნება ქსელის ოპერირება გახდეს გამჭვირვალე და დამოუკიდებელი.

დირექტივა განხორციელების სამი შესაძლო გზას სთავაზობს ენერგეტიკული საქმიანობის დაყოფის მსურველებს:

- საკუთრების დაყოფა;
- დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი;
- დამოუკიდებელი გადაცემის ოპერატორი და დამოუკიდებელი გადაცემის ოპერატორი +.

საქმიანობის დაყოფის მოდელებს შორის ძირითადი განსხვავებები ისაა, რომ საკუთრების დაყოფის მოდელში გადაცემის საქმიანობის ოპერირება და გადაცემის აქტივები არის საერთო მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, თუმცა ეს საქმიანობა მთლიანად არის გამოცალკევებული წარმოებისა და მიწოდების საქმიანობიდან დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელის შემთხვევაში, გადაცემის აქტივების მფლობელობა (და ინვესტირება) გამოყოფილია სისტემის ოპერატორისაგან. რეალურად, ეს ასევე ეხება ინვესტიციასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში საუკეთესო ვარიანტის შერჩევა შესაძლებელია 5 კრიტერიუმის დახმარებით:

1. გავრცელებული ევროპული პრაქტიკა;
2. მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან შესაბამისობა, მათ შორის პოლიტიკური განცხადება, რომ საკუთრების დაყოფა არის ყველაზე სასურველი და ეფექტური მოდელი;
3. განხორციელების სიმარტივე;
4. საქმიანობის დაყოფის შედეგების მონიტორინგი;
5. ეფექტიანობა - რაც ნიშნავს ოპერაციების, ტექნიკური მომსახურების, განვითარების ეფექტურობას, მათ შორის, არადისკრიმინაციულ წვდომას ქსელთან დაყოფისა და სერტიფიცირების შემდეგ.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთმოცემულ თეორიასა და ანალიზს, შეგვიძლია რეკომენდაციის სახით გავცეთ, შემდეგი:

- 1) გადაცემის სისტემის ოპერატორის პროცედურის გამოყენება და გადაცემის არსებული ოპერატორების გაერთიანება ერთ ოპერატორად საქართველოს გადაცემის ელექტროენერგეტიკული ქსელისთვის.

- 2) პოლიტიკური ფაქტორის მიუხედავად, საკუთრების დაყოფა არის საუკეთესო გამოსავალი, რაც უზრუნველყოფს გადაცემის სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობას მიწოდებისა და წარმოების საქმიანობისათვის.
- 3) გადაცემის სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესები და პროცედურები უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს სემეკმა.
- 4) გადაცემის სისტემის ოპერატორისა და განაწილების სისტემის ოპერატორის საქმიანობის სერტიფიცირების გეგმის შემუშავება, რომელსაც გადახედავს და დაამტკიცებს მარეგულირებელი კომისია.

**ლიტერატურა:**

[1]. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, 21.04.2017;

[2]. **პირველი ი., სუმბაძე ნ., მუხიგიშვილი გ., ქელბაქიანი გ., გალდავა ი.**, ელექტროენერგეტიკული პოლიტიკის მოდელირება და ანალიზი, თბ., 2013;

[3]. შპს „დელოიტ კონსალტინგის“ პუბლიკაცია, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოდელი და ელექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმი – 2015, თბ., 2012;

[4]. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 და 2016 წლების საანგარიშო პერიოდის წლიური ანგარიში;

[5]. დირექტივა 2009/72/ჩ ელექტროენერგის შიდა ბაზრის საერთო წესების შესახებ;

[6]. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, წწ.ენერგე.გოვ.გე;

[7]. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, წწ.ესცო.გე;

**REFERENCES:**

[1]. Law of Georgia on “Electricity and Natural Gas”, 21.04.2017;

[2]. **Pirveli I., Sumbadze N., Mukhigishvili G., Kelbakiani G., Galdava I.**, Modeling and Analysis of Electric Energy Policy, Tb., 2013;

[3]. Publication of “Deloitte Consulting” Ltd, “Electricity Market Model of Georgia and Mechanism of Electricity Trade” - 2015, Tb., 2012;

[4]. Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission, annual reports 2015-2016 years;

[5]. Directive 2009/72/EC concerning common rules for internal market in electricity;

[6]. Ministry of Energy of Georgia, [www.energy.gov.ge](http://www.energy.gov.ge);

[7]. Electricity Market Operator, [www.esco.ge](http://www.esco.ge);